# ბორჯომი

20 ოქტომბერი
ხუთშაბათი
2022 წელი
№43 (9253)
ფასი 40 თეთრი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

## სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები - ბორჯომში



**13 ოქტომბერს,** ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის აღმოსავლეთ საქართველოს სამართველოსა და თანასწორობის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებთან შეხვედრა გამართეს.

შეხვედრის ფარგლებში, სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა ყურადღება გაამახვილეს სექსუალური შევიწროების არსსა და სექსუალური შევიწროების პრევენციის შიდა მექანიზმის შემუშავების საკითხებზე. კერძოდ, მონაწილეებს გააცნეს: თუ რას გულისხმობს სექსუალური შევიწროება და რა ფორმებით გამოიხატება იგი, როგორია მისი ამოცნობის ინდიკატორები და რა მტკიცებულებებით შესაძლოა დადასტურდეს სექსუალური შევიწროების არსებობა. ამასთან, განხილული იქნა, თუ როგორ უნდა მოხდეს პრევენციის შიდა მექანიზმების შემუშავება.

## შემოდგომის ზეიმი პატარებისათვის

**კომპანია `„IDS ბორჯომი-საქართველომ“, თანამშრომლები, მათი შვილები, და ბორჯომში მცხოვრები პატარები საბავშვო ღონისძიებაზე დაპატიჟა. ბორჯომის სტადიონზე, საბავშვო ზეიმი 8 ოქტომბერს გაიმართა.**




**პატარებს დახვდათ ფერადი და მხიარული სადგური. ბორჯომის სახელმწიფო თოჯინების თეატრის სანახაობები:**

- **სამაგიდო თამაშები და ჰაკათონი;**
- **მხიარული სტარტები;**
- **სახალისო ლაბორატორია და შოუები.**

**კომპანია `„IDS ბორჯომი-საქართველოს“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა ნანიკო კუპრაშვილმა განაცხადა.**

**– ერთგვარ ტრადიციად ვაქციეთ ყოველწლიურად კომპანია „IDS ბორჯომი საქართველოს“ თანამშრომლების შვილებისთვის და ბორჯომელი ბავშვებისთვის ზეიმის გამართვა. ძალიან გვახარებს ამდენი ბედნიერი სახის დანახვა, ჩვენ მომავალშიც შევეცდებით ბავშვების მხიარულ განწყობაზე ზრუნვას და მათთვის საინტერესო ღონისძიების გამართვას.**

## ტრენინგი სკოლამდელი აღმზრდელებისათვის



**საქართველოს** განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ბორჯომის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების მეთოდისტების და აღმზრდელ-პედაგოგების გადამზადებას ახორციელებს.

- საქართველოს მასშტაბით, შერჩეული იქნა 5 საპილოტე მუნიციპალიტეტი, მათ შორის ბორჯომი, სადაც სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების მეთოდისტებს, აღმზრდელ-პედაგოგებს და საგანმანათლებლო რესურსცენტრის სპეციალისტს ჩაუტარდათ ჰიბრიდული ტრენინგები თემაზე: „კურიკულუმი თამაშის ეფექტურად დანერგვის ღონისძიებები“.

ტრენინგს უძღვებოდა მასწავლებლის სახლის ტრენერი **ნინო ჯიჯავაძე,** - განაცხადა ბორჯომის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმძღვანელმა **ნინო ბენდელიანმა.**

მისივე თქმით, ბორჯომის სკოლამდელი დაწესებულების გაერთიანებაში შემუშავებულია გეგმა, რომლის მიხედვით მიმდინარეობს პერსონალის ეტაპობრივი გადამზადება.

## აღინიშნა ვეტერანთა დღე



**ვეტერანთა** დღის აღსანიშნავი ღონისძიება ბორჯომში აფხაზეთის ომში დაღუპულ გმირთა მემორიალთან გაიმართა.

ღონისძიებას ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **გიორგი ტაბატაძე** და კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განყოფილების ხელმძღვანელი **შალვა გოგოლაძე** ესწრებოდნენ.

მერის მოადგილემ და ვეტერანებმა ომში დაღუპულ გმირთა მემორიალი გვირგვინებით შეამკეს.

- დღეს კიდევ ერთხელ გავიხსენეთ ვეტერანები, ღვაწლმოსილი და ჩვენი ქვეყნის წინაშე დამსახურებული ადამიანები. ჩვენი მოვალეობაა მაქსიმალურად ვიზრუნოთ მათზე, - განაცხადა მერის მოადგილემ **გიორგი ტაბატაძემ.**

ვეტერანთა დღესთან დაკავშირებით გამართულ შეხვედრას ვეტერანები და საზოგადოების წევრები ესწრებოდნენ. ვეტერანთა დღე 17 ოქტომბერს საქართველოში 2015 წლიდან აღინიშნება.

## ჯაზ კვინტეტი სტუმრად ბორჯომში



**ბორჯომის** კულტურისა და ხელოვნების ცენტრმა ამერიკული ჯაზ კვინტეტის **„ქაილი ო დოერთის“** უმასპინძლა. ერთი საათის მანძილზე კვინტეტმა შეასრულა საინტერესო კომპოზიციები. ყველაზე შთამბეჭდავი და მოულოდნელი კი დამსწრე მაყურებლისათვის კვინტეტის მიერ შესრულებული ქართული სიმღერა „ჟუჟუნა წვიმა“ გახლდათ. აღნიშნული კონცერტი ქართულ-ამერიკული ურთიერთობის 30 წლის იუბილეს მიეძღვნა. ღონისძიებას ესწრებოდნენ ადგილობრივი მაყურებლები, ასევე კულტურის განყოფილების ხელმძღვანელი ბატონი **შალვა გოგოლაძე,** მერის მრჩეველი კულტურისა და განათლების სფეროში **გიორგი ბუგიაშვილი** და საკრებულოს წევრები.

კონცერტი საქართველოში ამერიკის საელჩოსა და ბორჯომის მუნიციპალიტეტის ერთობლივი ორგანიზებითა და ხელშეწყობით გაიმართა.

## სკვერის მოწყობა დასრულდა

**ბორჯომში** რუსთაველის ქუჩის №51 და №53 მიმდებარედ მრავალ ბინიანი საცხოვრებელი სახლების წინ სკვერის მოეწყობა დასრულდა.



პროექტის მიხედვით ტერიტორიაზე დაიგო ქვაფენილი, მოეწყო ბორდიური, განთავსდა სკამები და ნაგვის ურნები, დამონტაჟდა დეკორატიული ლამპიონები. უახლოეს მომავალში დაგეგმილია გამწვანების სამუშაოების ჩატარება.

დასრულებული სკვერი ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერმა **ოთარ არბოლიშვილმა,** საკრებულოს თავმჯდომარემ დავით ზაალიშვილმა და ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლებმა დაათვალიერეს.

### ვის ჭირდება ასეთი ბინძური ინფორმაცია?!

## ნათიას ამბავი

**ნათია სოროკინას** ამბავი თითქმის მთელმა საქართველომ სოციალური ქსელის საშუალებით შეიტყო. წერდნენ, რომ ნათია ორ მცირეწლოვან შვილთან ერთად ახალ უბანში უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობდა და სოციალურად დაუცველ ოჯახს საცხოვრებელი სახლი არ ჰქონდა. დედა შვილებთან ერთად ერთ-ერთ შენობაში თვითნებურადაა შესახლებული.

აღნიშნულ ურთულეს მდგომარეობას ემატება უფროსი შვილის ავადმყოფობაც, რომელსაც დიაგნოზის დასასმელად გამოკვლევების ჩატარება სჭირდება.

მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფ დედას ერთადერთი რამის ეშინია, სოციალურმა სამსახურმა შვილები არ ჩამოართვას. თანახმაა დასაქმდეს და შვილებს პირობები გაუუმჯობესოს.



სოციალურ ქსელში იმასაც წერდნენ, რომ ნათიას შვილი შიმშილის გამო ბორჯომის საავადმყოფოში იყო მოთავსებული, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. შვილს ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს და აუცილებელია კვლევების ჩატარება. ბავშვისათვის ტუბერკულოზის ცენტრში ანალიზების აღება სჭირო.

ინფორმაცია ნათიას შესახებ მეც სოციალური ქსელიდან გავიგე, პოსტის გამავრცელებლები ითხოვდნენ ინფორმაცია გაეზიარებინათ საზოგადოებისათვის და მის დასახმარებლად გავერთიანებულიყავით. ამბავმა შემზარა, პოსტი გავაზიარე და მივაწერე: „რა ვთქვა, არ ვიცი... და ამ დროს მშვიდად გძინავს, საუზმობ და ცხოვრებით ტკბები... კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ თვითონ ეს სამყაროა სამოთხეც და ჯოჯოხეთიც...“

მალევე ჩემს გვერდზე გაზიარებული და გამოქვეყნებული ეს ინფორმაცია გაქრა და დარჩა მხოლოდ ჩემი მინაწერი სიტყვები. ეს მაშინ ხდება, როდესაც პოსტი იშლება ან გამომქვეყნებელი სამიზნე აუდიტორიას ცვლის. ნათიას შესახებ არა ერთმა ბორჯომელმა გამოთქვა დახმარების სურვილი. თანხაც აგროვდა ბინის დასაქირავებლად, მოქალაქეები წერდნენ, რომ ეთქვათ, სად ცხოვრობდა იგი, რომ დახმარებოდნენ. მისმა ამბავმა არაერთი მოქალაქე დააფიქრა, დაადარდიანა.

მარტოხელა დედის ამბავი გულგრილს არავის ტოვებდა, ადამიანურ გრძნობებს უშუალოდ ეხება ეს განცდა. სოციალური დახმარება, რომ საარსებო მინიმუმიც არაა, ეს არც ახალია და აღარც ძველი. ასეთი ფაქტები არ მინდა ხდებოდეს, არ აქვს მნიშვნელობა ნათია საიდანაა, რომელი ქალაქიდან, ბორჯომელია თუ არა, თვითნებურად არის თუ არა შესახლებული. ფაქტი მოხდა ჩვენს პატარა ქალაქის პატარა უბანში და ყველას გულში გაიარა, სინანულმა, ბრაზმა, უმწეობამ ამ ყოფიერებაში.

დღესაც არ ამომდის გონებიდან და თვალებიდან პატარა უმწეო 7-8 წლის გამხდარი ბიჭის საავადმყოფოში გადაღებული სურათი, ტექსტში თანდართული ცრუ ინფორმაციით, - შიმშილით მოხვდა საავადმყოფოშიო. შიმშილით არ მომხვერდილა, დედამაც აღნიშნა ინტერვიუსას, მთლად ასე არ იყოო. ბავშვს გამოკვლევები სჭირდებაო.

ასე აიღო სურათი და გამოაქვეყნო ინფორმაცია პროვოკატორმა, თან ბავშვის უმწეობის შესახებ, შიმშილით კვდებაო, ეს ყოვლად დაუშვებელია, მერე ეს ამაზრზენი პოსტი საერთოდ გაქრე და წაშალა, „შერცხვა“ უზუსტობები აღარ გადაიკითხონო. ვნანობ, სიტყვა-სიტყვით ვერ მოვასწარი პოსტი გადმომეტანა და თანამედროვე ტერმინით „დამესქრინა“. (სამომავლოდ აუცილებლად გასათვალისწინებელი. გადაუღე ფოტო, შეინახე, რომ ვერავინ შემოგედავოს.)

მე ორივე ფაქტის მრცხვენია... საზოგადებაზე კარგად გათვლილ-გამოქვეყნებული ბინძური ტყუილი ინფორმაციის, რომლის ლაბირინთს მე, მედიის წარმომადგენელმა ვერ გავუძელი და ნათიას ამბავს გაუზვიადებლად გთავაზობთ.

**იზა იანვარაშვილი**

**ნომრის სპონსორია ბაკურიანის განვითარების სააგენტო (დირექტორი ეკა ორჯონიკიძე)**

# პრობლემების პირისპირ

## (თემის გაგრძელება)

**ჩვენი გაზეთის** წინა ნომერში გამოქვეყნდა წერილი სათაურით **„მასწავლებლის უდიდესი მისია“,** სადაც პედაგოგების მოსწავლეებთან დამოკიდებულებაზე ვსაუბრობდით. დაგპირდით, რომ შემდეგში აუცილებლად ექნებოდა წერილს გაგრძელება.

მომიტევონ პედაგოგებმა, რადგანაც მე პირადად ჭკუას ნამდვილად არავის ვასწავლი, თუმცა იმ ფაქტებზე, რის შესახებაც წერილში გიამბეთ, საკუთარი თვალით ვნახე და საკუთარი ყურით მოვისმინე, მითუმეტეს, მსგავსი ფაქტები რომ მრავლადაა და სოციალურად შეჭირვებული ოჯახების რაოდენობა ისევ და ისევ იზრდება, ამას ყველა კარგად ვხედავთ და ეს ყოველივე ნამდვილად აისახება მოზარდი თაობის ფსიქიკაზეც. ამაზე ალბათ ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ არსებობს უფრო მტკივნეული საკითხი, რაც უკვე რამდენიმე ათეული წლებია მთელ საქართველოს უკურნებელი სენივით მოედო. ეს არის ემიგრანტი მშობლების, განსაკუთრებით კი ემიგრანტი დედების თაობა. მამაკაცებთან შედარებით ქალებს უფრო მეტი შანსი აქვთ საზღვარგარეთ სამსახურის შოვნის. დედებიც, უამრავი აღებული ვალის ხარჯზე, წლობით მიემგზავრებიან საზღვარგარეთ. სამაგიეროდ, აქეთ სიზიფეს შრომის ფასად აღებულ გასამრჯელოს აგზავნიან. სამშობლოში დარჩენილ ოჯახებს მაქსიმალურად ეხმარებიან, რომ უკეთესი ცხოვრება ჰქონდეთ. ალბათ არც ერთ საღად მოაზროვნე ქალს არ უნდა, რომ საკუთარი შვილი წლობით დატოვოს, თუმცა სხვა გამოსავალიც რომ არ რჩება, ჩვენი გულის ტკივილიც ესაა. ჰოდა, ასე რჩებიან ბავშვები ზოგი უმაქნისი მამის, ზოგი კი მოხუცებული პაპა-ბებიის ხელში, რომლებიც აქეთ მისახედები არიან. ალბათ არც ერთი ოჯახი არ არსებობს, რომელსაც ემიგრანტი ოჯახის წევრი, ან ნათესავ-ახლობელი არ ყავდეს საზღვარგარეთ. ამ ოჯახებიდან კი ძალიან მცირედი რაოდენობა არსებობს ემიგრანტი დედის შვილებისა, რომელთაც დედის ოფლითა და ჯაფით მონაპოვარი ფული გონივრულად გამოეყენებინოს. თუმცა, მართლაც არსებობენ გამონაკლისებიც. სამწუხაროდ, ემიგრანტი დედის შვილის სტატუსის ქვეშ მყოფი ბავშვების გარკვეული ნაწილი, საკმაოდ არასწორი მიმართულებით ვითარდება. არასწორ განვითარებაში იგულისხმება, თუნდაც ფინანსების ხელგაშლილად გამოყენება. ისეთ გასართობ და ჯანმრთელობისათვის საზიანო თამაშებში თუ საშუალებებში ფულის ხარჯვა, რაც მათ ჯანმრთელობაზე და ფსიქიკის არასწორად განვითარებაზე ნათლად აისახება. შორს არ წავალ და აგერ ბატონო ყველას მოგეხსენებათ, რომ გაზეთ „ბორჯომის“ რედაქცია ქალაქის ცენტრთან საკმაოდ ახლოს მდებარეობს. სკოლის შემდეგ საღამოს საათებში რედაქციის ეზოში ალბათ ბევრს გაუკვირდება კიდეც, თუმცა აუცილებლად უნდა ვახსენოთ, რომ თითქმის ყოველდღიურად დაახლოებით 4-5 გოგონა, საკმაოდ თამამად ჩაცმულები, სიგარეტით და სპირტიანი სასმელებით ხელში რედაქციის ეზოს სტუმრობენ. რამდენჯერმე დედაშვილურად მივმართეთ კიდეც, რომ ჯერ ჯანმრთელობას ვნებენ და მერე კიდევ მათ მიერ დაყრილი სიგარეტის ნამწვავებითა და მოტანილი სხვადასხვა საკვების ნარჩენებითაა ეზოში მდგარი ნაგვის ურნები თითქმის ყოველდღიურად გადავსებული.



სულ ახლახანს, 8 ოქტომბერს, დილით, რედაქციის ეზო კვლავ დაბინძურებული დაგვხვდა. ეზოში არსებული ვენახის ტალავერის ტოტები დამტვრეული, უმწიფარი ვაზის მტევნებით გავსილი ტერიტორია. რა ზომები შეიძლება გამოვიყენოთ ამ მოზარდების მიმართ, იქნებ თქვენ გვირჩიოთ მშობლებო? მცდელობის მიუხედავად, სიტუაცია უცვლელია. როგორც ჩანს, ურყევია მათი გადაწყვეტილებებიც. მათი უკვე ჩამოყალიბებული არასწორი განვითარების, იმ პირობებისა თუ გარემო ფაქტორების გამო, რაშიც ეს ახალგაზრდები იმყოფებიან. ზუსტად ხელს ვერავის დავადებთ და ვერ ვიტყვით, მათგან რამდენის მშობელი იმყოფება ემიგრაციაში (ან სულაც არ იმყოფებიან), მაგრამ ოჯახებიდან ხომ მოდიან? სამწუხაროდ, არ ვიცით და სიმართლე გითხრათ, (ადრეც ვწერდით საკითხავია, როგორ სძინავს მშვიდად მშობელს, როცა მისი არასრულწლოვანი შვილი ღამის 12-2 საათზე სახლში არაა). ამ პრობლემურ საკითხში მთავარი ის არის, რომ პრობლემა არსებობს და რომლის მოგვარების გზებზეც ოჯახმა, სკოლამ და საზოგადოებამაც ერთობლივად უნდა იზრუნოს. მშობლებმა მაქსიმალური ყურადღება უნდა მიაქციონ შვილებს, უნდა აკონტროლონ თუ ვისთან მეგობრობენ. და თუ მშობელი მაქსიმალურად აკონტროლებს შვილის ყოველ ნაბიჯს, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ვიღაც ე.წ. „დედიკოს ბიჭი“ ან „მამიკოს გოგოა“. მეტი სიფრთხილეა შვილებთან საჭირო, მეტი საუბარია მათთან მათ სიხარულზე, ტკივილზე, ოცნებებზე, სამომავლო გეგმებზე, მისწრაფებებზე და .ა.შ. შვილის აღზრდის პროცესში მშობელს შვილში „ადამიანი“ არ უნდა გამოგვეპაროს. ჯერ ადამიანად უნდა აღვზარდოთ, იმ ფასეულობებით, რასაც პირველ რიგში უფლისა და მოყვასის სიყვარული ჰქვია და მერე ვიზრუნოთ მის კარგ განათლებაზე, ჩასაცმელ-დასახურზე.

**P.S. როგორც ამ ქვეყნის მოქალაქე და სამი შვილის დედა ვისურვებდი, რომ ჩვენ შვილებს ისეთ ქვეყანაში ეცხოვროთ, სადაც მშობლებს და საერთოდაც დედებს მუდამ ექნებათ იმის საშუალება, რომ ცხოვრების თითოეულ ეტაპზე შვილების გვერდით იქნებიან. ხოლო იმ დედებს, რომლებიც დღეს ემიგრაციაში არიან მალე დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში და აღარასდროს დასჭირვებოდეთ უცხო ქვეყნიდან ეცქიროთ შვილების ცხოვრებისათვის და უკვე აქ ჩამოსულებს „ზნე დაკარგული შვილის“ გამოსწორებაში აღარ გაეტარებონოთ მთელი ცხოვრება.**

**ნატო მელიქიძე**

**რედაქციისაგან: განათლების სფეროს კომპეტენტურმა წარმომადგენლებმა გვითხრეს, დღეს სკოლას მოეხსნა პასუხისმგებლობა მოსწავლის აღზრდაზე, ეს ამოცანა მშობლის პასუხისმგებლობააო, სკოლა პასუხს აგებს მოზარდის განათლებაზეო. ვაგლახ, რომ დღეს არც ახალგაზრდების განათლებულობის დონეა სათანადო სიმაღლეზე. მოსწავლეთა აღზრდა-განათლების პრობლემებზე წერილებს მომავალშიც შემოგთავაზებთ. მოზარდი თაობის პრობლემებზე ხომ ყველამ ერთობლივად უნდა ვიზრუნოთ. გვახსოვდეს, მოზარდის ღირსეულ მოქალაქედ ჩამოყალიბებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ოჯახს, სკოლას და საზოგადოებას. ამ ფორმულის უგულებელყოფა დანაშაულის ტოლფასია. სამიდან არც ერთს არ აქვს უფლება მაქსიმალური ყურადღება არ დაუთმონ მოზარდების აღზრდა-ჩამოყალიბებას, ჩვენი ქვეყნის მომავალი ხომ დღეს ყალიბდება. როგორ შვილებსაც აღვზრდით ისეთი საქართველო გვექნება ოცი-ოცდაათი წლის შემდეგ.**

# ბედნიერების უანგარო წყაროდ ქცეული წლები

**მანანა ნადირაძე,** ფსიქოლოგი - ეს სახელი, გვარი და პროფესია ერთ მთლიანობაში წარმოადგენს მშვენიერ, ერუდირებულ, გაწონასწორებულ და რაიონის მოსახლეობისთვის საკმაოდ ნაცნობ და საჭირო პროფესიის მქონე ქალბატონს, რომელსაც უზომოდ უყვარს თავისი საქმე. მისთვის ცხოვრების წესად იქცა წლების განმავლობაში ადამიანებისთვის საჭიროების შემთხვევაში უანგაროდ დახმარება, სიტყვით თუ საქმით. წლების მანძილზე, ქალბატონი მანანა ერთადერთი ფსიქოლოგი იყო ბორჯომის რაიონში. 1987 წელს იგი ფსიქოლოგად დაინიშნა ახალგახსნილ ლიკანის საბავშვო ბაგა-ბაღში. წელს მას იქ მოღვაწეობის 35 წელი შეუსრულდა. ის ყველამ გაიცნო ბორჯომში, როგორც კვალიფიციური ფსიქოლოგი.

- დიდი ენთუზიაზმით „იმედის გმირივით“ დავდიოდი სხვადასხვა საბავშვო ბაღში ყოველ დილით. ყველგან მოუთმენლად მელოდნენ. ერთადერთი მოქმედი ფსიქოლოგი გახლდით და აქედან გამომდინარე, აქტიურად მიწევდა ჩაბმა საზოგადოებრივ საქმიანობაში. პარალელურად ვემსახურებოდი ბორჯომში არსებულ სასწავლო დაწესებულებებს. ყოველთვის თავისუფალი დროის დეფიციტი მქონდა.

ქალბატონი მანანა დღევანდელი გადასახედიდან აფასებს მოვლენებს და ფიქრობს, ბედნიერია იმით, რომ შეძლო ადამიანებთან ჰარმონიული ურთიერთობის ხელოვნების შესისხლხორცება, მათი თანაგანცდის უნარის გამომუშავება და მათ პრობლემებთან ერთად თანაცხოვრება საჭიროების შემთხვევაში. რამდენიმე ძალადობის მსხვერპლი დედა-შვილებიც შეუფარებია ოჯახში. დღესაც უანგაროდ უწევს დახმარებას მათი ასაკის მიუხედავად რთულ მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს. ამ ყველაფერმა გაზარდა და ჩამოაყალიბა, როგორც თვითონ უწოდებს თავს, ნორმალურ პიროვნებად და ხელი შეუწყო მის პროფესიულ დაოსტატებას. მიაჩნია, რომ მისი ცხოვრების გზა ორმხრივი სიყვარულითაა ნასაზრდოები. ეს კი ნამდვილად, ამ პროფესიის უზომოდ დიდი სიყვარულის დამსახურებაა. როცა ვკითხე მას, თუ რა მისცა ამდენწლიანმა გამოცდილებამ, ის, როგორც ყოველთვის, მაღალპროფესიულად მპასუხობს:

**- მეოცე საუკუნე ნევროზის საუკუნედ ითვლებოდა, ოცდამეერთე კი - დეპრესიის საუკუნედ აღიარეს. ყველა ცივილურ ქვეყანაში მუცლადყოფნის პერიოდიდან ღრმა სიბერემდე ადამიანებს ემსახურებიან ფსიქოლოგები. ჩვენს ქვეყანაში კი საზოგადოების დიდ ნაწილს ბუნდოვანი და შეუსაბამო წარმოდგენა აქვს ფსიქოლოგზე და ფსიქოლოგიის ინსტიტუტზე. არ შეიძლება და წარმოუდგენელია დღევანდელ მძიმე და ხისტ გარემოში სასწავლო დაწესებულებებში ემსახურებოდნენ მხოლოდ მანდატურები და არა ფსიქოლოგები. მერწმუნეთ, კარგ და გამოცდილ ფსიქოლოგს შეუძლია სრულიად შეცვალოს ბავშვის ცხოვრება. დღეს უამრავი ბავშვია დაუცველი და მძიმე მდგომარეობაში. ფსიქოლოგი კი მათი მაშველი რგოლი უნდა იყოს ოჯახსა, საზოგადოებასა თუ სკოლას შორის.**

წლების მანძილზე უამრავ განსხვავებულ ბავშვთან, მშობელთან ჰქონია ქალბატონ მანანას ურთიერთობა და გვაინტერესებს, რა მთავარი დანიშნულება აქვს კარგ ფსიქოლოგს და რას ურჩევდა ის თანამედროვე მშობლებს? „მე, როგორც 45 წლის საერთო პედაგოგიური სტაჟის მქონე მასწავლებელი, დედა, ქალი, მეგობარი, ამ გადასახედიდან თამამად შემიძლია თავს უფლება მივცე და დავაკვალიანო ახალგაზრდა მშობლები, რომელთა ხელშიცაა ყველაზე ღირებული და ფასდაუდებელი ქმედებამოვალეობა: რომ აღუზარდონ ქვეყანას ღირსეული და ბედნიერი მოქალაქეები. ამ მიზნის მისაღწევად კი, სულ მცირე, სამი მოთხოვნაა საჭირო: **1. უპირობოდ უყვარდეთ და მიიღონ შვილები ისეთები, როგორებიც არიან. 2. ცხოვრების არცერთ მონაკვეთზე არ გაუშვან ხელიდან შვილთან დამაკავშირებელი უხილავი ჯადოსნური ძაფი. 3. ითანამშრომლონ და პატივი სცენ მათ პიროვნებას. ჩემთვის ეს პროფესია ერთდროულად, ჰუმანურიცაა, მარტივიც და ურთულესიც. ფსიქოლოგობას მხოლოდ დიპლომი არ ჰყოფნის, მოსიყვარულე გული და სული სჭირდება.**

ამას წინათ, სოციალური ქსელით შევიტყვეთ, რომ ქალბატონმა მანანამ სოლიდურ ასაკში გაბედულება გამოიჩინა და წარმატებით ჩააბარა მასწავლებელთა სერთიფიცირების გამოცდა. ვულოცავთ მას ამ საამაყო ნაბიჯს და აქვე ვკითხავთ: რა გამოწვევა იყო ეს მისთვის?

**- მეც დამიდგა ის დრო, როცა ჩემი ცხოვრების სრულიად ახალ ეტაპზე გადასასვლელად ვიღებ გადაწყვეტილებას!** ჩემი სოლიდური ასაკი - ეს ის ასაკია, როცა ბევრი რამ სასიამოვნო, თუ არასასიამოვნო ფაქტორი და მკაცრი რეალობა მიგანიშნებს, რომ „მოსვენების მდგომარეობაში“ გადასვლისა და ახალგაზრდებისთვის ასპარეზის დათმობის დროა. თურმე აქ იწყება „ბრძოლები“ ბუნების კანონზომიერებასა და სუფთა ადამიანურ სურვილებს შორის. თითქოს, რაღაც იდუმალი ფარდა ეშვება საზოგადოებასა და შენს შორის... თან თუ აქტიური და ბობოქარი ცხოვრებით ცხოვრობდი. როგორც ამბობენ, **სიბერე საკუთარი რესურსების გამოუყენებლობააო.** ჰოდა, მეც გადავხედე ჩემს „ამოუწურავ“ რესურს - შესაძლებლობებს და ჩემს თავს მივეცი პირობა: იქნებ, მოვსინჯო და მოვემზადო ახალი გამოწვევის მისაღებად? მივიღე კიდეც გამოწვევა - გასაიდუმლოებულად გავედი და დავაკვირდი საკუთარ ძალებსა და უნარებს მასწავლებელთა სასერთიფიკაციო გამოცდაზე. მოვსინჯე და თავდაჯერებულ-ბედნიერი დავეთანხმე გურამიშვილის მოწოდებას: „სწავლა სიკვდიმდე შენია“!



**დღეს უკვე სერთიფიცირებული სპეციალური მასწავლებლის სტატუსით ვაგრძელებ ჩემ პედაგოგიურ საქმიანობას ბორჯომში, ლიკანში მდებარე აფხაზეთის №22-ე საჯარო სკოლაში. ეს ის სკოლაა, 1995 წელს ჩემი ინიციატივით, სერიოზული წინააღმდეგობების მიუხედავად, ნახევრადცარიელ საბავშვო ბაღის შენობაში რომ გავხსენით დევნილი ბავშვებისთვის. შენობაც დავიხსენით ავტომატიანი, გაურკვეველი ბოროტი ძალებისაგან. მიმაჩნია, რომ ეს სიკეთე წინ დამხვდა დღეს!**

ჩვენთვის ისიც ცნობილია, რომ ლიკანის №3 ბაგა-ბაღმა ძალიან დაფასებულად „გააცილა“ ქალბატონი მანანა. ის თავად გვიამბობს ამ მადლიერებით გამსჭვალულ ჟესტზე:

**- თქვენი გაზეთით, ვისარგებლებ და უდიდესი მადლიერებით მინდა დავემშვიდობო ჩემ მეორე ოჯახს - ლიკანის №3 საბავშვო ბაგა-ბაღის ერთ მუშტად შეკრულ ძლიერ კოლექტივს, რომლებმაც დიდი გულისწყვეტითა და სიყვარულით მომიწყვეს გაცილება - ამით მაჩუქეს დაუვიწყარი წუთები, თავისი სიურპრიზებითა და იმ იმედით, რომ ისევ ყოველდღიურად გვექნება საქმიანი და მეგობრული კავშირი.**

**მადლობა ბორჯომის სკოლამდელი დაწესებულების ხელმძღვანელს ქალბატონ ნინო ბენდელიანს და მის კოლექტივს, რომელთაგან მუდმივად ვგრძნობდი მხარდაჭერასა და გვერდში დგომას. ასევე, სრულ მადლიერებას გამოვხატავ ყველა საბავშვო ბაღში მომუშავე თანამშრომლების მიმართ. მადლობა ყველა იმ ბავშვს, რომლებმაც გამილამაზეს ცხოვრება და მუდამ ბედნიერების უანგარო წყაროდ მყავდნენ.**

**ესაუბრა მონიკა ჭანტურია**

# ადამიანი - პოზიტივი

**ერთ ჩვეულებრივ, მაგრამ პირადად ჩემთვის გამორჩეულ და არაჩვეულებრივ ადამიანზე მინდა გესაუბროთ, ალბათ, უმრავლესობა დამეთანხმება, რომ მისი გამოჩენა საზოგადოებაში თუ სცენაზე პოზიტიურ განწყობასა და სიცილთან ასოცირდება.**

ეს ადამიანი ბატონი **ტრისტან სარალიძეა,** ბევრისთვის საყვარელი მსახიობი, რომელმაც არაერთი დასამახსოვრებელი როლი შექმნა, ქართულ თეატრსა თუ კინოხელოვნებაში და მაყურებლის დიდი დამსახურებული სითბო და სიყვარული დაიმსახურა, რად ღირს მისი თუნდაც ერთ-ერთი დასამახსოვრებელი როლი ქართულ ფილმში „სიყვარული ყველას უნდა“, სადაც იგი მეველის როლს ანსახიერებს. სადაც კი გამოჩნდება ქუჩაში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, ბაზარში ან ნებისმიერ თავშეყრის ადგილას, ყველგან თავისი წილი პოზიტიური განწყობა და მხიარულება შეაქვს. საზოგადოებაც სიხარულით ხვდება და ესალმება.

რამდენიმე ისტორიას გავიხსენებ მისი ყოველდღიური ცხოვრებიდან: - ერთხელ თამადობის გაწევა თხოვეს ქორწილის სუფრაზე და იუარა - „მე რომ შემომხედავენ, ეცინებათ და ამიტომ ვერ გავწევ მაგ სამსახურსო“. მის ამ მოსწრებულ პასუხზე ქორწილსუფრალსაც გაეცინა. ერთხელ, ბაზარში ყოფნისას, კარტოფილის ფასით დაინტერესებულა, მაგრამ მიმხვდარა, რომ მაინცდამაინც კარტოფილი დიდი ხარისხით ვერ გამოირჩეოდა, ამიტომ გაცლა გადაწყვიტა და გაემზადა წასასვლელად, მეორე პიროვნება ელაპარაკება ამ გამყიდველს: „ბიჯო, ვერ იცანი ვინ იყო, ვერ ვიცანიო, უთქვამს გამყიდველს, ეგა ბიჯო, ტრისტან სარალიძე იყოო - მსახიობიო. უცბათ გამყიდველი წამოენთო: რას ლაპარაკობ, მართლა ეგ არისო. გამყიდველებს შორის სერიოზული კამათი გამართულა და კარტოფილის გამყიდველი ბატონ ტრისტანს დაწევია, „ბატონო ტრისტან, მობრძანდით, წონაში არ მოგატყუებთო, ის კი არა და გაჩუქებთო. ტრისტანს უთქვამს: განა რა უნდა მომატყუო, ორი კილო კარტოფილი უნდა შევიძინო, ერთ საღამოს სპექტაკლზე ორას კაცს ვატყუებ და თან ტაშს მიკრავენო.

მე, ხომ ნუ მკითხავთ, ისე მიხარია მისი თბილისიდან ჩამოსვლა, ყოველთვის რაღაც ახალს, თავისი ინტერპრეტაციით, ღიმილით, იუმორით მოგვიყვება, ყველას გაგვახალისებს ხოლმე.

ამასთან შესანიშნავი ოჯახის მამაა, ორი ვაჟის: გიორგის და ლევანის აღმზრდელი, მეუღლესთან ია სამხარაძესთან ერთად სითბოსა და სიყვარულს უშურველად გასცემენ და ამიტომ მათ ოჯახს ხშირად სტუმრობენ ყველასათვის საყვარელი რეჟისორები, მსახიობები და კულტურის სფეროს წარმომადგენლები (რობერტ სტურუა, მურმან ჯინორია და სხვები).

შვილებმაც არ უღალატეს მამის პროფესიას. უმცროსი ვაჟი - ლევანი შოთა რუსთაველის სახელობის, ეროვნული თეატრის მსახიობია, ნათამაშევი აქვს ფილმში „შინდისის გმირები“.



უფროსი ვაჟი, გიორგი ოპერატორია, რომელმაც ჩეხეთში მიიღო ოპერატორის განათლება. ისინი ღირსეულად აგრძელებენ ოჯახურ ტრადიციას. ვფიქრობ, პოზიტივი, რომელიც ამ ოჯახიდან მომდინარეობს, დღევანდელ დუხჭირ ცხოვრებაში მეტად დასაფასებელია.

2021 წელს ქართველმა ლეგენდარულმა კინორეჟისორმა ელდარ შენგელაიამ გადაიღო მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ჩიტები“. რეჟისორმა ეს ფილმი მიუძღვნა თავის აწგარდაცვლილ ძმას, ასევე ლეგენდარულ კინორეჟისორს გიორგი შენგელაიას ხსოვნას. ტრისტან სარალიძე მოკლემეტრაჟიან ფილმ „ჩიტებში“ ერთ უკეთილშობილეს, უბრალო გლეხკაცის როლს ასრულებს, რომელიც დიდი სიყვარულითა და რუდუნებით უვლის და პატრონობს ჩიტებს. დიდებულმა მსახიობმა ამ როლით კიდევ ერთხელ დაიმსახურა მაყურებელთა სიყვარული.

საამაყოა და სასიხარულოა, რომ ჩვენმა ქალაქმა, მრავალ ღირსეულ ბორჯომელთან ერთად 2010 წელს ბატონ ტრისტანს მიანიჭა ბორჯომის საპატიო მოქალაქის წოდება. წარმატებები მინდა ვუსურვო ბატონ ტრისტანს, ჯანმრთელობა და შემოქმედებითი წინსვლა, რათა მომავალში არაერთხელ გაეხარებინოს ერთგული მაყურებლის გულები.

**აკაკი სარალიძე,**
**მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელი.**

## იცნობდეთ ბორჯომის საპატიო მოქალაქეებს

# ჩვენი მოფუსფუსე, ზნეკეთილი ამირანი

**კოვიდპანდემიამ** ორ ზაფხულს არ ჩაგვატარებინა ჩვენი ტრადიციული „ბორჯომ-ქალაქობა“. ამ სექტემბერს ჩავატარეთ და ჩატარდა დიდებულად. როგორც წესი, ამ დროს ირჩევენ ბორჯომის საპატიო მოქალაქეებს. ამჯერად აირჩიეს სამი ღირსეული პიროვნება. ყველას აინტერესებდა, მაინც ვის აირჩევდნენ საპატიო მოქალაქეებად? ადრევე ვიცოდით, რომ ასარჩევთა შორის ფავორიტი ბრძანდებოდა ჩვენი ცნობილი მსახიობი **პალიკო ნოზაძე.** მეორე კანდიდატიც შევიტყვეთ: ჩვენი მომავალი თაობის ორგანიზაციის სულისჩამდგმელი და საოცარი ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული **ქეთინო ნოზაძე.** მესამე, მესამე ვინ იქნებოდა? (ცოდვა გამხელილი სჯობს და რამდენიმე წელია, კანდიდატად მეც მასახელებენ, მაგრამ ალამუთის ციხე-სიმაგრესავით აუღებელი იქნა ჩემთვის საპატიო მოქალაქეობის მოპოვება!) განსაკუთრებულ ინტერესს მეც ვიჩენდი. ხმა დაირხა: მესამე ბორჯომის დასუფთავების სამსახურის თანამშრომელიაო. იგი აღმოჩნდა ბორჯომელი **ამირან გოგოლაძე.** ჩვენი მოფუსფუსე, ზნეკეთილი ამირანი! გულწრფელად ვამბობ: დიდი ხანია, ასე არაფერი გამხარებია! ადრე ჩვენ ერთად ვმუშაობდით ბორჯომის ფოსტაში დარაჯებად და ერთმანეთს ვცნობდით. **იმას რა სჯობს, როცა არჩევანში არ ცდებიან და ღირსეულს აფასებენ!** მაინც როგორ მოხდა ამირანის ღირსებების „აღმოჩენა?“ ეს ყველაფერი ლეგენდის მსგავსია. ამირანის დასუფთავების მონაკვეთი მტრედის



ხიდიდან (იქვე ახლოს ცხოვრობს) ფოსტამდეა, - როგორც საავტომობილო გზა და ტროტუარი, ასევე მთელი სანაპირო. ყოველ ღამ 4-5 საათზე ამდგარ და სამუშაოზე გასულ ამირანს ხშირად ამჩნევდა ხოლმე ტიმოთესუბნიდან მანქანით მომავალი მუნიციპალიტეტის მერი ბატონი ოთარ არბოლიშვილი. ერთხელაც მანქანა გაუჩერებია და მას გაცნობია. შრომისმოყვარეობასთან ერთად საუბარში, როგორც ჩანს, შეატყო, რომ საოცარ პატიოსან კაცთან ჰქონდა საქმე. აი, ასე „ჩააწყო“ ამირანმა და გახდა ბორჯომის საპატიო მოქალაქე!

ვინც მას იცნობს, ყველა დამეთანხმება, რომ ამირანი ძალზე მშრომელი, პატიოსანი და ოჯახის მოყვარული ადამიანია. მისი მეუღლე ლია ლომიძეც მაშინ ფოსტაში მუშაობდა და ყველა პატივისცემით იყო განწყობილი მისდამი. მათ აღზარდეს ორი შრომისმოყვარე ვაჟი: გერონტი და რეზო. პირველი ლარსის საბაჟოზე მუშაობს, მეორე - თბილისში სასტუმროების ქსელის ბიზნესშია ჩაბმული, ორივე 30 წელს გადაცილებულია და მშობლები მათ დაოჯახებაზე დღედაღამ ფიქრობენ.

ამირანი სკოლაში კარგად სწავლობდა. ჟურნალისტობა უნდოდა და თბილისის უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ორ წელს აბარებდა. არ ჩაჭრილა, მაგრამ ქულები არ ეყო. „ხომ იცი, მაშინ რა დრო იყო, მე ვინ გამიშვებდა?“, - მითხრა. შემდეგ დაამთავრა მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი. ბორჯომში სხვადასხვა ადგილებზე მუშაობდა. მერე „ქვეყანა აირია“. 10 წლის წინ სტაბილური ხელფასი რომ ჰქონოდა, ქალაქის დასუფთავების სამსახურში დაიწყო მუშაობა.

- რა გადაარჩენს ჩვენს ქვეყანას? - ვკითხე.

- შრომა! - მოკლედ და მტკიცედ მომიგო მან. - საზღვარგარეთი ჩვენ არაფერს დაგვეხმარება, ჩვენვე უნდა მივხედოთ და ვუპატრონოთ ქვეყანას!..

69 წლისაა, მაგრამ ასეთი მოძრავი და საქმეში მოფუსფუსე ბევრი ვერ იქნება...

სულ სიკეთე ჰქონდეს მას და მთელ მის ოჯახს! ღირსეულად ეტარებინოს საპატიო ბორჯომელის სახელი.

**უჩა ჯანგირაშვილი.**

# ბორჯომის მრთ-მრთი `,,Terra incognita"



**გთავაზობთ** საინტერესო რუკას, რომელიც ბორჯომის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი ზონის ნაწილს - გუჯარეთის ხეობას ასახავს, რუკა შედგენილია ჩემს მიერ, ღია წვდომაში არსებული ფიზიკური რუკის ბაზაზე, პროფესიული ლიტერატურის დახმარებით.

რუკაზე პირობითი აღნიშვნებით ნაჩვენებია გუჯარეთის ხეობის სიკეთეები: ისტორიული გზები და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები - ტაძრები და ციხესიმაგრეები; მინერალური წყლები, რომელთა შორის იოდის შემცველი წყაროცაა და ერთი შედარებით თბილი წყალიც კი (20 გრადუსი C).

გუჯარეთის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები რამდენიმე წლის წინ დაიწყო და ერთი მონაკვეთი შედარებით მოწესრიგდა. სამწუხაროდ, ის მოწესრიგებული მონაკვეთი ყოველწლიურ მონიტორინგს მოითხოვს, რაც შემოდგომა-გაზაფხულის წვიმიან პერიოდში განსაკუთრებით გაძნელებულია მანქანით გადაადგილება. გზა ხომ გრუნტისაა და კიდეც იმეწყრება ზოგიერთი მონაკვეთი.

რუკა სოციალური ქსელების მკითხველებისათვის შეიძლება საინტერესო იყოს: გუჯარეთის ხეობიდან არსებობს შიდა ქართლის რეგიონთან დამაკავშირებელი ორი ძირითადი ისტორიული გზა (სხვებიც არსებობს, კვლევაა საჭირო), ერთი მათგანი სოფელ წინუბნის მიდამოებში გადადის ძამას ხეობაში, ულამაზესი ბატეთის ტბის გავლით; მეორე კი - ატენის ხეობით გორს უკავშირდება.

იმედი ვიქონიოთ, რომ ხეობაში არსებულ მიტოვებულ და დანგრეულ ტაძრებსაც ეშველება ოდესმე. ამ ტაძრების ნაწილი ჯერ კიდევ დიდი თურქობის დროს უნდა იყოს დაზიანებული; ხოლო დანარჩენი, რაც შუა საუკუნეების ომებს გადაურჩა - კომუნისტების პერიოდსა და 90-იანების კრიზისის დროს უნდა იყოს გაპარტახებული.

ასევე საინტერესოა: 25 (12) სექტემბერს, მართლმადიდებელი ქრისტიანებისათვის, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის დღესასწაულის აღნიშვნა. ეი. ამ სადღესასწაულო პერიოდის დასრულების დღეა. შემოდგომის ბუნიობის პერიოდიც 22 სექტემბერია, ანუ დროის ამავე მონაკვეთშია. 21 (7) სექტემბერს ღვთისმშობლობა განსაკუთრებულად აღინიშნებოდა კურორტ წაღვერში, მიმდებარე სოფლებსა და გუჯარეთის ხეობაში. დღეისათვის ეს ტრადიცია დავიწყებული არაა, მაგრამ შემცირებულია - რაც, ალბათ, 90-იანების ცნობილი მოვლენების გამო (გუჯარეთის ხეობაში არსებული 9 სოფელი დაიცალა, კარგი იქნებოდა მიმდებარე მთიანეთში ღვთისმშობლობის აღნიშვნის ტრადიციის აღდგენა. რამდენიმე ოჯახი ამჟამადაც აღნიშნავს-ხოლმე ღვთისმშობლობას ზევით, სუბალპურ ზონაში; ძირითადად, ესაა ფერმერთა ოჯახები, რომლებიც სეზონურად მომთაბარეობენ. საქმე ისაა, რომ უშუალოდ გუჯარეთის ხეობაში მოქმედი ტაძარი არ არის; უკვე მრავალი წელია, წირვა-ლოცვა იქ არ აღევლინება.

საზოგადოდ, კულტურული მემკვიდრეობის 15-მდე ძეგლია მდინარე გუჯარეთისწყლის ხეობაში, ეროვნული მნიშვნელობის ძეგლების - ტიმოთესუბნის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მამათა მონასტრისა და დაბის ე.წ. ჩრდილოეთის წმინდა გიორგის ეკლესიის ჩათვლით. 15 ძეგლთაგან ერთ-ერთი 90-იან წლებში ვიღაცას აღუდგენია. ცხადია, ავთენტური სახის შენარჩუნებაზე ვერ უზრუნია - გაულესავს და შეულებავს ძველი სალოცავი. სხვებს ვეღარ გასწვდა - და ამგვარად, დანარჩენებს ისტორიული სახე შეუნარჩუნდა, თუმცაღა ყველა მათგანი დანგრეულ-ჩამოქცეული და იავარქმნილია; მათ შორის - ელია წინასწარმეტყველის სახელობის თელოვანის ეკლესია.

ხანდახან, ვინმე ღვთისნიერი თუ მოხვდება მთაში - სანთლებსაც ანთებს და ლოცულობს ამ მიტოვებულ ტაძრებში. ერთი დაყუდებული ბერიც მოღვაწეობს გუჯარეთის ხეობაში, თუ არ ვცდები, გვერდისუბანში. საკმაოდ ახალგაზრდაა. ადგილობრივები ამბობენ, დათვებიც კი ემეგობრებიანო. მოკლედ, სადღეისოდ, გუჯარეთის ხეობა არის ბორჯომის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი თეთრა ინკოგნიტა საკმაოდ მრავალთაგან.

**თამარ ხოშტარია**

# კომპიუტერული თამაშები და მოზარდი

***მშობლებისთვის კომპიუტერული თამაშების თემა ვნებათაღელვის სფეროა. მოზარდი და კომპიუტერი - დავფიქრებულვართ - <u>რა დილემაა ეს მშობლისთვის? რატომ ვღელავთ ჩვენ - მშობლები? ,,დამოკიდებული ტვინი“ რამდენად საზიანოა მათივე მომავლისთვის?</u>*** ჩვენ ხშირად გვეჩვენება, რომ ეს არის არაჯანსაღი დამოკიდებულება ეკრანისადმი, მაგრამ თითქოს არ გვინდა თვალი გავუსწოროთ შემდეგ სინამდვილეს: ის, რაც იმ თამაშში ხდება, არის ულიმიტო სამყარო. მოზარდი იქ გრძნობს თავისუფლებას. აქ - ამ რეალობაში კი ჩვენ ვუზღუდავთ ბევრ რამეს. მაგალითად: ველოსიპედი კი ჩაიყვანე ეზოში, მაგრამ არ გაცდე ეზოს, არ იარო სწრაფად. რას იღებს ამ თამაშებისგან ბავშვი? პირველი ალბათ ეს არის ავტონომია - ჩემს ჭკუაზე ვარ, როგორც მინდა, ისე ვთამაშობ. მეორე, რასაც ქვეცნობიერად აძლევს, ეს არის - დახელოვნება - ისეთ რამეს ვსწავლობ, ათი წლის შემდეგ კი არა, ხვალ რომ გამომადგეს, მესამე - რისთვის ვთამაშობ? რომ სიამაყე შემძინოს - მაგარ რამეს ვაკეთებ, გავიმარჯვე, მივაღწიე ფინიშს... მოზარდის ასაკში ცდის ბავშვი სამყაროს საზღვრებს. „რეალურ გალიას“ ურჩევნია ვირტუალური თავისუფლება. რას ავითარებს თამაში ბავშვში? საქსელო თამაშები რაც გაჩნდა, მერე დაიწყო განვითარება. ბავშვები თუ თამაშობენ სოციალურ თამაშებს, სადაც შეჯიბრია, ჯანსაღ კონკურენციას სწავლობენ - ამასაც თანამედროვე ფსიქოლოგების დაკვირვებით ვადგენთ. პატივისცემის გამოხატულებაა, რითაც ეუბნები, რომ რასაც ის თამაშობს სულელური სულაც არაა. რამდენად სახიფათოა ეკრანთან ურთიერთობა მოზარდისთვის? ცალსახად სახიფათოა, რადგან იმდენად მოსწონთ ის სამყარო, უკვე ცოცხალი ურთიერთობები აღარ უნდათ, ასოციალურები ხდებიან თანდათან. ერთი ცნობილი მასწავლებელი ამბობდა: რეგვენს ჯოხი რომ მისცე, თავში ჩაირტყამსო... „ჯოხი“ ახლა არის კომპიუტერი - ეკრანი, რომელიც იმისთვის თუ უნდა რომ „თავში ჩაირტყას“ - ცუდია. უნდა უნდოდეს რაღაცისთვის გამოიყენოს, საკუთარი თავი ,,გაზარდოს“. ვირტუალური თამაშების დროს სწრაფად ხდება ყველაფერი: სამი ცხოვრება შეიძლება გაიაროს გმირმა სამ საათში. ეკრანის სამყარო ნაკლებად მკაცრია, მაგრამ იქაც არის კარგი და ცუდი. უბრალოდ ბოლომდე უნდა შევყვეთ ამ თამაშში, რომ ავუხსნათ ეს ამბავი ცუდია, მაგრამ მისაბაძია. ამას წინათ, ალექსანდრე ჯეჯელავამ საინტერესო ფრაზა წარმოთქვა: ახალგაზრდები ციფრული სამყაროს ადგილობრივები არიან, ხოლო ჩვენ -



უფროსი თაობა კი ლტოლვილებად ვგრძნობთ თავსო. მშობლებს კარგად უნდა გვესმოდეს, რომ თამაშებს დაწესებული აქვთ ასაკობრივი შეზღუდვა. როგორც წიგნი უნდა შეურჩიო მოსწავლეს ასაკისთვის შესაფერისი, ასევეა კომპიუტერული თამაში, მშობელმა უნდა გაითვალისწინოს ნაკლებ ძალადობის შემცველი რამ შვილისთვის. კომპიუტერის დემონიზება არ მგონია სწორი გზა განვითარებისათვის, რადგან თანამედროვე მოზარდს ციფრული ტექნიკისკენ მისწრაფება უკვე გამომუშავებული აქვს, აკრძალვით კი ვერაფერს გავხდებით. თანამედროვე სამყაროში კომუნიკაციის მნიშვნელოვანმა ნაწილმა სოციალურ ქსელებში გადაინაცვლა. სოცპლატფორმებს მთლიანად აქვთ დაპყრობილი ჩვენი გონება. მათ გარეშე ცხოვრება ვერ წარმოგვიდგენია. შვილებს რას ვერჩით, როცა ჩვენც ასე ვართ? წლებია სოცქსელების „ლაიქები“ ერთმანეთის მოწონების, სიმპათიის, თანაგრძნობის, გამოხატვის ყველაზე სწრაფ გზად რჩება. ჟადსონ ბრუერი, ავტორი წიგნისა „დამოკიდებული ტვინი“, ამ ყველაფერს ასე აღწერს - ტვინი ეჩვევა „სიამოვნების ჰორმონების“ სწრაფ მიღებას და ადამიანს აღარ სურს მეტი ძალისხმევა დახარჯოს სხვა სიხარულის განსაცდელად. ფსიქოლოგები ამბობენ, რომ საგანგაშოა, თუკი სოციალური ქსელის მომხმარებელი, რა ასაკისაც არ უნდა იყოს ის, ერთი საათის განმავლობაში ვერ ჩერდება ტელეფონში ჩახედვის გარეშე, სოციალური ქსელის აქტიურობის გარეშე. სოციალურ ქსელებზე ემოციური დამოკიდებულება არანაკლებ ყურადღებას მოითხოვს, ვიდრე ნიკოტინზე ან ალკოჰოლზე დამოკიდებულება, რადგან მასაც აქვს გავლენა ინდივიდის ქცევასა და მდგომარეობაზე. ადამიანს, რომელიც დროის უმეტეს ნაწილს სოციალურ მედიაში ატარებს, ის ადვილად ღიზიანდება და ცუდად აკონტროლებს საკუთარ ემოციებს. თანამედროვე ადამიანი სულ უფრო მეტი ინფორმაციის გამტარი ხდება. ამას მოაქვს მთელი რიგი შედეგები: დაღლილობა, ემოციური გადაწვა. ზრდასრული ადამიანი არ კონცენტრირდება სამუშაოზე, ბავშვი - სწავლაზე ან აქტიურ დასვენებაზე. ამ დამოკიდებულებას შეიძლება ეწოდოს XXI საუკუნის „ჭირი“. ერთი შეხედვით, ეს სინდრომი შეიძლება ვინმეს პატარა პრობლემად მოეჩვენოს, მაგრამ დროთა განმავლობაში სერიოზულად აისახება ცხოვრების ხარისხზე. ტელეფონის შემოწმების მუდმივი სურვილი, ნერვიულობა, დეპრესია, ყურადღების და ძილის გაუარესება შეიძლება გახდეს თქვენი ერთგული თანამგზავრი დიდი ხნის განმავლობაში. მშობელი უნდა გახდეს შვილის „თანამედროვე“ დროში, რომ ზუსტად იცოდეს ის რითია დაკავებული, რა შინაარსის თამაშებს უყურებს. მთავარია დამოკიდებულება ავარიდოთ და ჩავანაცვლოთ ისეთი ალტერნატივით, როგორიცაა სპორტის სახეობებზე სიარული და ვალიაროთ, რომ სულ არაფრისმომცემი არაა ეს თამაშები.

**მონიკა ჭანტურია**

# ვულოცავთ!



**მარინა კუპრაძე იუბილარია!**

რაოდენ სასიამოვნოა, დაბადებიდან 70 წელი მიულოცო შესანიშნავ ქალბატონს მარინა კუპრაძეს, რომელმაც ორმოცი წელი იღვაწა ბორჯომის პიონერთა და მოსწავლეთა სახლში მუსიკის პედაგოგად. ის მარტო მუსიკას კი არ ასწავლიდა, იყო საუკეთესო აღმზრდელი, დედობრივად ზრუნავდა თითოეულ მოსწავლეზე. მისი აღზრდილები დღესაც მოწიწებით ხვდებიან და თბილად მოიკითხავენ მარინა მასწავლებელს.

ქალბატომ მარინას გულითადად ვულოცავთ ამ საიუბილეო თარიღს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს საყვარელ შვილთან და შვილიშვილებთან ერთად.

დიდი სიყვარულით **მეგობრები, თანაკლასელები და ნათესავები.**

## ღვაწლმოსილი პედაგოგი

## ჯილდო მაყურებლის ტაში გახლდათ

**ბატონ ედუარდ ვახტანგიშვილისა და ქალბატონ მარინე კუპრაძის ოჯახს ბორჯომში ყველა იცნობს. ორი ხელოვანი ადამიანის ცხოვრება სწორედ მათ პროფესიამ გადაკვეთა. ბატონი ედუარდი მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი და ქორეოგრაფი, ხოლო ქალბატონი მარინა მუსიკის პედაგოგი გახლდათ. ბატონი ვახტანგი 8 წლის წინ 80 წლის ასაკში გარდაიცვალა. ქალბატონ მარინას კი 20 ოქტომბერს 70 წელი შეუსრულდა. განვლილი ცხოვრების შესახებ ქალბატონ მარინას სახლში ვესტუმრე სასაუბროდ.**



**ქალბატონმა** მარინამ დიდი სიყვარულით მოიკითხა რედაქციის კოლექტივი. მიყვება, რომ წლების წინ მათი გასტროლებისა თუ წარმატებების შესახებ უამრავი წერილი დაბეჭდილა გაზეთ „ბორჯომში". მოკითხვის შემდეგ კი ჩვენი საუბარი საკმაოდ არასასიამოვნო ამბის გახსენებით გააგრძელა. ქალბატონ მარინას და მის ოჯახს უმძიმესი ტრაგედია დაატყდა თავს მაშინ, როდესაც ის 23 წლის გახლდათ. ავტოკატასტროფამ სამი დედმამიშვილი, ორი ძმა და და იმსხვერპლა. ქალბატონი მარინა ყველაზე უფროსი გახლდათ და-ძმებს შორის. იმ ტრაგედიამ მასზე უდიდესი დაღი დაასვა. ტრაგედიის შემდეგ გარკვეული პერიოდის მანძილზე ინსტრუმენტზეც კი ვეღარ უკრავდა, მიყვება და ხმაში ცრემლნარევი ტონი ერევა.

ქალბატონმა მარინამ მუსიკალური განათლება ჯერ ბორჯომში მიიღო, როდესაც მუსიკალურ სკოლაში სწავლობდა, შემდეგ თბილისის ივანე არაყიშვილის სახელობის მუსიკალური ტექნიკუმი, საგუნდო-სადირიჟორო მიმართულებით სწავლობდა. წარმატებით დაამთავრა თბილისის კონსერვატორიაც.

მთელი ცხოვრება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში(მაშინ პიონერთა სახლი ერქვა) გაატარა. ერთი წელი იმუშავა მხოლოდ მუსიკალურ სკოლაში. უდიდესი ბედნიერება იყო მისთვის თითოეულ ბავშვთან ურთიერთობა. ერთგვარი ზეიმით ეგებებოდა ზაფხულის არდადეგებიდან დაბრუნებულ მოსწავლეებს. ყველაზე დიდი ჯილდო როგორც ქალბატონი მარინა ამბობს, მისთვის და მისი მოსწავლეებისთვის გახლდათ მაყურებლის ტაში, რომელსაც თითოეული ნომრის შემდეგ ჩუქნიდნენ. მოსწავლეებთან 40 წელი იმუშავა. გახლდათ ანსამბლ „ბორჯომის" ხელმძღვანელიც.

საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა რესპუბლიკა მოიარა გუნდთან ერთად. ხშირად მიწვევით დადიოდნენ, ზოგჯერ კი უბრალოდ ექსკურსიებს აწყობდნენ.

ახლა ხშირად ავადმყოფობს, ქუჩაშიც იშვიათად გადის თუმცა, იმ პერიოდშიც კი ყოფილა შემთხვევები, რომ გაუჩერებიათ, მისალმებიან და უთქვამთ, - მე თქვენი მოსწავლე ვიყავი, მე თქვენთან ვმღეროდიო. ამ დროს გული სიხარულით ევსება, როცა ამხელა, ასაკოვანი კაცები და ქალები ხვდებიან და ესალმებიან. ჩემ კითხვაზე რამდენად მკაცრი იყო მოსწავლეებთან, ამბობს, რომ საკმაოდ მკაცრი იყო, თუმცა, რაც მთავარია, სამართლიანი. ყოფილ მოსწავლეებთან დღესაც ურთიერთობს ტელეფონით, ხანაც სოციალური ქსელით. მათთან საუბარი დიდ ბედნიერებას ანიჭებს.

ქალბატონ მარინას ერთი შვილი მარიამ ვახტანგიშვილი და ორი შვილიშვილი ნატა და ანამარია ნამგალაძეები ყავს. გულისტკივილით აღნიშნა, სამწუხაროდ, შვილიშვილებს მუსიკა არ აინტერესებთო.

მეუღლესთან პროფესიულ და ოჯახურ თანაცხოვრებას უდიდესი სითბოთი და სიხარულით იხსენებს. ამბობს, რომ ერთმანეთის უთქმელად გვესმოდაო. თუნდაც ამის მაგალითად მოყავს ამდენი მოსწავლის ერთდროულად საზღვარგარეთ გაყვანა. ამას ხომ უდიდესი პასუხისმგებლობა, ბავშვების უზომო სიყვარული და ორგანიზება სჭირდებოდაო. რასაც ორივე ერთგულად ვემსახურეთ კიდეცო.

საინტერესო ის არის, რომ ყველა ქვეყანაში წასვლის წინ ბავშვებს იმ ენაზე სასაუბრო აუცილებელ სიტყვებს ვასწავლიდითო.

უამრავი სტუმარი ჩამოდიოდა მათთან, როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე საზღვარგარეთიდან. ალბათ ეს იყო ხელოვანი ადამიანების ხვედრიც, რომ აქტიურად გვეცხოვრა და უამრავი სასიამოვნო მოგონებებიც დაგვეგროვებინაო.

საუბრის დასასრულს ვთხოვე, თუ რა რჩევას მისცემდა მოსწავლე-ახალგაზრდობას? მან კი ასე მიპასუხა: - პირველ რიგში ზედმიწევნით იცოდნენ საკუთარი ქართული, ტრადიციები და ისტორია და მერე შეისწავლონ სხვა ქვეყნის კულტურაც და სიმღერებიცო.

**ნატო მელიძე**

## ალპინიზმის ოსკარი – „ოქროს წერაყინი““ ქართველ მთამსვლელებს



**ქართველმა მთამსვლელებმა „ოქროს წერაყინი"** (Pioleta d'Or-**2022** მიიღეს. ინფორმაცია დაჯილდოების ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

ე.წ. ალპინიზმის ოსკარი **არჩილ ბადრიაშვილმა, გიორგი ტეფნაძემ** და **ბაქარ გელაშვილმა** პაკისტანში, სარაგრარის 7300 მეტრი სიმაღლის აქამდე აუსვლელ ჩრდილო-დასავლეთ მწვერვალზე უმაღლესი სირთულის მარშრუტის დალაშქრისათვის გადაეცათ.

**დაჯილდოების ცერემონია საფრანგეთში, 18-20 ნოემბერს გაიმართება.**

**ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია ბორჯომელ მთამსვლელს, ბაქარ გელაშვილს ულოცავს 7 300-მეტრიანი მწვერვალი სარაგრარის წარმატებით დაძლევას.**

**ახალ-ახალ წარმატებებს ვუსურვებთ ახალგაზრდა მთამსვლელებს!**

## ჩემს სკოლას ანგრევენ...

(ჩანახატი)



**ჩვენს სკოლას ანგრევენ..**

**ჩვენი ძველი სკოლის შენობის დემონტაჟისა და მისი ახალი და თანამედროვე შენობის ჩანაცვლების ამბავი რამდენიმე თვის წინ გავრცელდა. რა ჯობია განახლებასა და აღმშენებლობას, მაგრამ გულში ტკივილი ვიგრძენი ძველი სკოლის ნგრევის გამო...**

**ჩემი სკოლა...**

**ჩვენი სკოლა...**

**ინგრევა კედლები, რომლებიც ჩვენი უთბილესი და უდარდელი ბავშვობის ისტორიას ინახავს. დასვენებებზე დერეფნებში გამაყრუებელი ხმაურით გამოფენილი ბავშვების ჟივილ-ხივილს, ზარის წკრიალს და დერეფნებში მასწავლებლების დინჯი ნაბიჯების ხმას. რამდენი თაობა აღიზარდა მის კედლებში...**

**სკოლა... ცალკე სამყარო, ცალკე ცხოვრება...**

**ჩვენი გეოგრაფიის კაბინეტი. მასში რუკების შესანახი პატარა გადატიხრული ოთახი, ჩვენი სამალავი. ინგრევა კედლები, ინგრევა იატაკი, რომლებსაც ჩვენი ნაბიჯების ხმა, ბოლო მერხზე ანცობა და გაკვეთილების სხაპასხუპით ჩაბარებული საგნის ხმა ახსოვთ. სადაა ის სკამი, „ძველბიჭურად" რომ შემოვალაგებდით ფეხებს, სადაა ის მერხები წიგნებისა და რვეულების ქვეშ სასუსნავები რომ გვქონდა შემონახული...**

**დღიურებში ჩამალული გაზეთებიდან ამოჭრილი ცნობილი ადამიანების ფოტოები, ჭრიჭინა კარები, რომელიც პარალელური კლასის აყლაყუდა ბიჭებმა საბოლოოდ მოარყიეს, საიდუმლოებების გამხელა სპორტდარბაზის გასახდელში და ბურთის ბრაგაბრუგის ხმა დარბაზიდან... ეზოში სპორტულ ღერძზე მობზრიალე უფროსკლასელები და შატალოები...**

**ეხ, კედლებს რომ ენა ჰქონდეთ...**

**რუსულის მასწავლებლის ნაზი და ჩუმი ხმა... მაღალი და ხმელ-ხმელი „მათემატიკის", დინჯი „გეოგრაფია-ბიოლოგიის", ყველა დროსა და თაობებში მეგობარი და თანატოლი „ფიზკულტურის", მასწავლებლების ხმა...**

**მოვისმენდი ყველაფერს, რაც მახსოვს და რაც აღარ მახსოვს, რისი მოწმეც თავად ვიყავი, ჩემზე უფროსების ისტორიებს და ჩემი შემდგომი თაობების ამბებს... უამრავი სკოლის ფორმაში გამოწყობილი მოღიმარი გოგო-ბიჭები, რომელთა ბავშვური სახეები სკოლის კედლებში დარჩა მოგონებად, ისინი, ვინც სკოლის დამთავრების შემდეგ აღარასოდეს მინახავს..**

**მოგონებები ქარიშხალივით ირევიან...**

**ზუსტად ამიტომაც მიყვარს ძველი შენობები, ისინი უამრავ ისტორიებს ინახავენ.**

**ჩემს სკოლას ანგრევენ...**

**სამაგიეროდ ახალს აშენებენ...**

**რუსუდან სხირტლაძე**

## ზურა აივაზოვის ხსოვნას



**უკვე მეოთხე დაბადების დღეა უშენოდ მამი...**
**ეს მონატრება არ ნელდება, მწარე, ეული...**
**მეგზურად გასდევს თან მიჰყვება დროს ნაბიჯ-ნაბიჯ...**
**მოგონებები შენთან ყოფნის სითბოთი გვავსებს...**
**და ენაცვლება ერთურთს დღენი ფიქრ-მორეულნი...**
**გვაკლიხარ... სული ეჩვევა ჩუმად კვილს და გვემას...**
**ქირის თმენაა ამ ცხოვრების სვლა და თამაში...**
**უშენოდ ყოფნა გვაიძულებს სევდის დათმენას...**
**გვენატრები და ტკივილია მხოლოდ ამაში...**
**დრო გადის ტკივილს გვაჩვევს (აწმყოს) ყოფა სევდისა...**
**მოგონებებით ვიფერადებთ დღეებს უშენოდ...**
**მადლობას გიძღვნით იმ ლამაზი ცხოვრებისათვის,**
**შენთან ყოფნისას ბედნიერად რომ გავატარეთ...**
**უშენოდ ყოფნა არ ყოფილა თურმე ადვილი...**
**უფრო ვაფასებთ გააზრებულ ყოფას ერთიანს...**
**მოგონებები ცვლიან კადრად ერთიმეორეს...**
**ჩვენი ცხოვრების ულამაზეს ზღაპარს ერთვიან...**
**დაბადების დღეს მოგილოცავთ აწ იმიერში,**
**სევდით, ცრემლებით დაგისველებთ მუდმივ სამყოფელს...**
**ნათელში იყოს შენი ტკბილი, კეთილი სული,**
**შენთვის ლოცვებში ამას უფალს მუდამ ვავედრებთ...**

**ოჯახი**
**16.10.2022**

## ნაილი ქვრივიშვილის გახსენება



**ათი წელი შესრულდა ჩვენი დიდი მეგობრის, შესანიშნავი პიროვნების ბორჯომის და ბორჯომელების დიდი მოსიყვარულე ქალბატონის, ნაილი ქვრივიშვილის გარდაცვალებიდან ნათქვამია, წლები ვერ ივიწყებს საყვარელი ადამიანის დიდ სითბოს და გულისხმიერებას.**

**ქალბატონი ნაილი მთელი შეგნებული ცხოვრება ახალგაზრდების გარემოცვაში ტრიალებდა და სასკოლო ცხოვრებით ცხოვრობდა. დღესაც კარგად გვახსოვს მის მიერ შესანიშნავად ორგანიზებული საქალაქო და რაიონული ღონისძიებები. კომკავშირის რაიკომის, მესამე მდივანი, შემდეგ №3 საშუალო სკოლის პედაგოგი, სადაც ნამდვილად გამოირჩეოდა შემოქმედებითი საქმიანობით. ვაგლახ, რომ არ დაცალდა თავისი ნიჭის და ენთუზიაზმის ბოლომდე გამჟღავნება, სრულიად ახალგაზრდა წავიდა ამქვეყნიდან.**

**ხსოვნა და სანთელი არ მოკლებოდეს ქალბატონ ნაილის სულს ღმერთმა აცხონოს, მსუბუქი ყოფილიყოს მის მკერდზე დაყრილი მშობლიურუი ბორჯომის მიწა, ამინ!**

**მეგობრები.**

## გრიგოლ ტალახაძის მონატრება



**გრიშა, ხუთი ტკივილიანი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ჩვენ გვერდით აღარ ხარ და დატოვე შენი საყვარელი ოჯახი. როცა თქვი, შვილები გზაზე დავაყენე, კარგად არიან და ბედნიერი კაცი ვარო, მაშინ გიმტყუნა ბედმა. არ დაგცალდა შენი საყვარელი ოჯახის. შვილიშვილების მოსიყვარულება, რომლებიც სიგიჟემდე გიყვარდა, მაგრამ რას ვიზამთ, უფლის წინაშე ყველა უძლურნი ვართ. ძალიან გვენატრები, გვიყვარხარ და გვაკლიხარ, მაგრამ მაინც ვაგრძელებთ ცხოვრებას უშენოდ.**

**შვილიშვილები გაიზარდნენ, თბილად და ტკბილად გიგონებენ, მხოლოდ სესილის და მართას არ ახსოვხართ, მაგრამ რომ გაიზრდებიან, მათი მშობლები და ძმები მოუყვებიან, თუ როგორი კეთილშობილი ბაბუა იყავი.**

**შენი ამქვეყნიდან წასვლის შემდეგ ერთი დღე არ გასულა, რომ ლოცვა არ წავიკითხოთ და სანთელი არ დაგინთოთ.**

**21 ოქტომბერს, შენი გარდაცვალების დღეს, მოვალთ შენ საფლავზე, დაგინთებთ სანთლებს და უფალს შევთხოვთ, რომ შენი სული ნათელში გვიმყოფოს. განისვენე მშვიდად.**

**მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი შენთვის საყვარელი მშობლიური ბორჯომის მიწა.**

**შენი საყვარელი ოჯახი.**

## ვლადიმერ კაზანჯევის გახსენება



**ვებრძვით შენი ამქვეყნიდან წასვლით გამოწვეულ ტკივილს. 9 ოქტომბერს 81 წლის გახდებოდი, უშენოდ აღვნიშნეთ დაბადების დღე. მოვედით შენ საფლავზე, როგორც შეგეფერებოდა ისეთი ლამაზი სიტყვებით შევსვით შენი უკვდავების შესანდობარი, დავანთეთ სანთლები, რომ ნათელში გვიმყოფოს უფალმა შენი ლამაზი სული.**

**ბევრი სიკეთე აკეთე, ვალმოხდილი წახვედი, ბორჯომში ყველა გიცნობდა, როგორც კეთილსინდისიერ, გამორჩეულ და თბილ ადამიანს. მხოლოდ კეთილი სახელი დატოვე, რაც ნამდვილად საამაყოა, ხოლო ჩვენ დაგვიტოვე დიდი ნაღველი და სევდა.**

**ნათელში იყავი, მსუბუქი ყოფილიყოს შენს გულზე დაყრილი მშობლიური ბორჯომის მიწა, რომელიც ძალიან გიყვარდა.**

**იხსენებენ მეუღლე მერი, შვილები: როლანდი, ზურა, მარიამი, სიძე ბექა მეტრეველი, შვილიშვილები ლადო, ანა, გიორგი, ქეთა.**

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59

გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.

რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის ქ. №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში". ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის ქ. №57.

borjomi@inbox.ru

რედაქტორი: ვალერიან ლომიძე